# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

17 აგვისტო ხუთშაბათი 2023 წელი №34 (9296) ფასი 40 თეთრი


## 15 წელი აგვისტოს ომიდან



**2008 წლის აგვისტოს** ომიდან 15 წლისთავთან დაკავშირებით, ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა - **გიორგი ფერაძემ** და **ნიკოლოზ კიკნაძემ** დაბა ახალდაბაში აგვისტოს ომში დაღუპული გმირების **დევი ჩადუნელისა** და **შალვა გაბუნიას** სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას.

დევი ჩადუნელი წარმოშობით ახალდაბელი იყო, შალვა გაბუნია კი ახალდაბას ხშირად სტუმრობდა. მათი სულების უკვდავსაყოფად ახალდაბაში მემორიალი აღიმართა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველწლიურად სტუმრობენ.

ღონისძიებას აგვისტოს ომში დაღუპული ბორჯომელი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები და მეგობრები დაესწრნენ.

აგვისტოს ომში სამცხე-ჯავახეთიდან ექვსი ჯარისკაცია გარდაცვლილი.

## ატირაუდან სამუშაო ვიზიტით მყოფ დელეგაციას უმასპინძლეს



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ყაზახეთის ქ. ატირაუდან სამუშაო ვიზიტით მყოფ დელეგაციას უმასპინძლეს.

შეხვედრაზე მხარეებმა საინვესტიციო თანამშრომლობის, სავაჭრო, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული და ტურიზმის განვითარების აქტუალური საკითხები განიხილეს.

ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების ძირითადი მიზანი ტურიზმის განვითარებაა, რაც გულისხმობს 12 თვის განმავლობაში აღნიშნული ქალაქიდან ბორჯომის მუნიციპალიტეტში დამსვენებელთა კიდევ უფრო დიდი ნაკადის შემოსვლას, ასევე, ადგილობრივი სასტუმროებით, სანატორიუმებითა და მათში არსებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურებით დაინტერესებას, რომელთა უნიკალური თვისებების გარანტი სწორედ მინერალური წყალი „ბორჯომია“.

სამუშაო შეხვედრის შემდეგ, ქ. ატირაუს დელეგაციისათვის, IDS ბორჯომი-საქართველოს“ №1 და №2 ჩამომსხმელ ქარხნებში საინფორმაციო ტური გაიმართა. ისინი ადგილზე გაეცნენ ქარხნების მუშაობის სპეციფიკას, როგორ ისხმება მსოფლიოში ცნობილი „ბორჯომი“, „ლიკანი“ და „ბაკურიანი“. რის შემდეგაც საინფორმაციო ტური სანატორიუმ „ბორჯომი-პალასსა“ და სასტუმრო „ბორჯომი ლიკანში“ გაგრძელდა. დელეგაცია სასტუმროების ხელმძღვანელ პირებს შეხვდა და სწორედ მათგან მოისმინა თუ როგორ მუშაობენ, რა სახის შეთავაზებები აქვთ სტუმრებისათვის, რა ტიპის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურებით სარგებლობა შეუძლიათ დამსვენებლებს და სხვ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ქ. ატირაუდან სამუშაო ვიზიტით მყოფი დელეგაცია დაბა ბაკურიანსაც ესტუმრა, სადაც მათ ბაკურიანის საბაგიროები და სასტუმროები მოინახულეს. შემდეგ კი უნიკალურ, ტბაში შეჭრილ სოფელ ტაბაწყურსაც ეწვივნენ.

## გლობალური დათბობა გარდამტეხ მომენტს უახლოვდება

**კლიმატური ცვლილებების შედეგები, როგორც წესი, ათწლეულებისა და საუკუნეების შემდეგ დგება, მაგრამ ამ ზაფხულს ეს შედეგები ყველგან ჩანს,** - ამის შესახებ USA Today-ზე გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი, სათაურით „მსოფლიო გლობალური დათბობის სახიფათო გარდამტეხ მომენტებს უახლოვდება“.

სტატიის ავტორი ელიზაბეტ ვიზი აღნიშნავს, რომ ჰაერის ტემპერატურის რეკორდული მაჩვენებლები მუდმივად ახლდება, ოკეანეებში წყალი ცხელდება, მსოფლიო ლიდერები კი იმდენად შეშფოთებულები არიან, რომ ამ პროცესებს „გლობალური დუღილის ერა“ უწოდეს. სტატიაში აღნიშნულია, რომ რამდენიმე გლობალური ამინდის სისტემა, რომლებზეც მეცნიერები შარშანაც ღელავდნენ, წელს მზარდი მოწყვლადობის ნიშნებს აჩვენებს.

**კერძოდ, ანტარქტიკაზე წყლის ყინული რეკორდულად დაბალ დონეზეა, ტყის ხანძრები კანადაში ჰაერს აბინძურებს, ოკეანეებში წყლის რეკორდული ტემპერატურა კი მარჯნებს უქმნის საფრთხეს. ამასთან, ივლისში გამოქვეყნებულ კვლევაში მეცნიერები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ატლანტის ოკეანის დინებები შესაძლებელია მოსალოდნელზე სწრაფად დაიმსხვრეს, რაც ამინდისა და კლიმატის სწრაფ ცვლილებას გამოიწვევს. სტატიაში ასევე**



მოყვანილია 5 გარდამტეხი მოვლენა, რომელიც მეცნიერების ვარაუდით, შეიძლება მოსალოდნელზე სწრაფად განვითარდეს:

**1. მყინვარების დნობამ შესაძლებელია ოკეანეები გადატვირთოს;**

**2. ატლანტის ოკეანეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი დინებები შესაძლებელია გაჩერდეს და შეცვალოს კლიმატი აშშ-სა და ევროპაში.;**

**3. ამაზონის ტროპიკული ტყეები შესაძლებელია გაუჩინარდეს;**

**4. ტყის ხანძრები ალასკასა და კანადაში ტყეებს საძოვარ მიწად გადააქცევს;**

**5. ოკეანის წყლის მაღალმა ტემპერატურამ შესაძლოა მარჯნის რიფები „მოხარშოს“.**

ამასთან, სტატიაში აღნიშნულია, რომ ეს პროგროზი არა დანებებისკენ, არამედ ქმედებისკენ მოწონებაა.

## გადავარჩინოთ გაზეთი „ბორჯომი“

„ბორჯომი“ - სახელწოდება მსოფლიოში აღიარებული უმშვენიერესი კურორტისა...
„ბორჯომი“ - მსოფლიოში განთქმული მინერალური წყლისა...
„ბორჯომი“ - სახელწოდება საუკუნეს მიღწეული გაზეთისა...



**ბორჯომის ულამაზეს ხეობაში დავიბადე და გავიზარდე, კარგად ვიცნობ ჩემი ხეობის მოსახლეობას, რომლებიც პატიოსანი და ალალი შრომით ცხოვრობენ დღესაც.**

**სკოლის დამთავრების შემდეგ ამ ულამაზეს ხეობაში აღარ მიცხოვრია, ჩემი სწავლა და შრომითი საქმიანობა გაგრძელდა თბილისში, თუმცა არასოდეს მშორდებოდა ფიქრი ჩემს საყვარელ კუთხესა და ხალხზე.**

**ჩემო ძვირფასო ხეობელებო!**

**ამ დღეებში ხელთ მქონდა გაზეთ „ბორჯომის“ რამდენიმე ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებული იყო წერილები, ლექსები, მოგონებები უდროოდ გარდაცვლილი ჩემი ბიძის პოეტ ვასილ ლომიძის შესახებ. რა თქმა უნდა, გაზეთები დიდი ინტერესით რამდენჯერმე წავიკითხე, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ამბებია დაბეჭდილი, თუმცა ძალიან მატკინა გული წერილმა სათაურით „მეგობრებო, გადავარჩინოთ გაზეთი „ბორჯომი“, რომელიც 92 წლისა ყოფილა და მალე საუკუნეც შეუსრულდება.**

**დღეს კომპიუტერმა და მობილურმა ტელეფონმა გადაუარა მსოფლიოს, რომელიც ინფორმაციის მოძიების ძირითადი წყარო გახდა. ეს მიღწევა კარგია, მაგრამ ამავე დროს, მავნეც. ჩვენი თაობა და მათ შორის უფროსებიც ამ სიახლეებმა ჩამოაშორა პრესისა და წიგნების კითხვას, არადა, დაუკვირდით, რას წერენ გამოჩენილი ადამიანები:**

**„სამეფო გვირგვინზე ძვირფასია ჩემთვის წიგნები“ - წერდა შექსპირი.**

**„წიგნი არის ოცნება, რომელიც შეგიძლია ხელში დაიჭირო“ - ამბობს ნილ გეიმანი.**

**„შეგიძლია სრული წარმოდგენა იქონიო ადამიანზე, თუ მის ბიბლიოთეკას თვალს გადაავლებ“ - გვმოძღვრავდა შარლ ბლანი.**

**ჩემი აზრით, პრესა კიდევ უფრო საინტერესოა, ის ხომ ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური სიახლეა. მიღწევებია, წარმატებებია, გასაკრიტიკებელი კი გაკრიტიკებულია. გავიხსენოთ ილიას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება როგორ იბრძოდა ჟურნალ-გაზეთების დაბეჭდვა-გამოცემისა და გავრცელებისათვის. ეს ხომ ცოცხალი მასალა იყო და არის დღესაც.**

**უმორჩილესად გთხოვთ, დავეხმაროთ რედაქციას გაზეთ „ბორჯომის“ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში. გაზეთისა, რომელიც მალე საუკუნეს იზეიმებს ჩვენთან ერთად.**

**მინდა მადლობა გადავუხადო რედაქციას, რომელმაც მიუხედავად ფასების მატებისა, არ გაუძვირა მკითხველს გაზეთის ღირებულება და მცირერიცხოვანი კოლექტივით, ფაქტიურად, უხელფასოდ მუშაობს და მონდომებით და ენთუზიაზმით ემსახურება გაზეთის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.**

**გიგზავნით ჩემს მცირეოდენ თანხას, გთხოვთ შეიტანოთ გაზეთ „ბორჯომის“ გადარჩენის ფონდში.**

**პატივისცემით ლია (ნათელა) ლომიძე**

**ტ. 593 117 503.**

**7 აგვისტო, 2023 წელი.**

## ნუ დაანთებთ ტყეში კოცონს!

**ადგილობრივი მოსახლეობა ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებულ ტყეში სეირნობს, ისვენებს, მოიპოვებს სოკოს, სამკურნალო მცენარეებს, ტყის სხვა პროდუქტებს, აძოვებს პირუტყვს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ხშირად ანთებენ ცეცხლს სარეველა ბალახის განმენდის მიზნით, რის შედეგადაც არსებობს ტყის მასივებში ხანძრის გაჩენის საშიშროება. ტყეში, ზაფხულის ცხელ დღეებში ხანძრის წარმოშობის ძირითადი მიზეზი არის ადამიანის დაუდევრობა, ხოლო გაჩენილი ხანძრის კერების ჩაქრობა არის შედარებით რთული. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ადგილობრივებს და ქალაქის სტუმრებს სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებს.**

## გამაფრთხილებელი ნიშნები ტყის განაპირა ზოლებში



**ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია. აგვისტოს თვე, ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო, განსაკუთრებით ხანძარსაშიში პერიოდია.**

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოუწოდებს მოსახლეობას - დაიცვან ტყეში უსაფრთხოების წესები! სტატისტიკის მიხედვით, ტყეში ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზი ადამიანთა დაუდევრობაა.**

**ხანძარსაშიშ უბნებსა და იმ ტერიტორიებზე, რომლებიც განსაკუთრებით დატვირთულია ტურისტულ სეზონზე, ეროვნული სატყეო სააგენტო ყოველწლიურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საინფორმაციო-გამაფრთხილებელ ნიშნებს ათავსებს.**

**ეროვნული სატყეო სააგენტოს ინიციატივით, გომბორის უღელტეხილზე, შუამთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა, სახელმწიფო ტყის განაპირა ზოლში გამაფრთხილებელი ნიშნებიც განათავსეს და დასუფთავების აქცია მოაწყვეს.**

**აქციის მონაწილეებმა მოუწოდეს მოსახლეობას, დაემორჩილონ იმ აკრძალვებს, რომელიც ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების მოწყობისას და კოცონის დანთებისას ვრცელდება.**

**სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე კოცონის დანთება დასაშვებია ცეცხლის დასანთები ადგილის (ბაქანი) წინასწარი მოწყობის შემთხვევებში. ბაქნის წინასწარი მოწყობა გულისხმობს ცეცხლის კერიდან 1,5მ რადიუსში ადვილად აალებადი მასალებისაგან (თივა, ხმელი ბალახი, ფოთლები, ფიჩხი) გაწმენდას.**

**შოვში დატრიალებულმა ტრაგედიამ სერიოზული ვნებათა ღელვა გამოიწვია საზოგადოებაში, ამასთან კიდევ ერთხელ შეგვახსენა ვაჟა-ფშაველას მოწონება „ბუნება ბრძანებელია“. ამიტომ მოგიწოდებთ, გავუფრთხილდეთ გარემოს, ბუნებას!**

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რასაც მოჰყვა ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე, აგრეთვე, ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500-ლარამდე. ტყეში დაუდევრობით გამოწვეული ხანძრის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან რვა წლამდე.**

**ეროვნული სატყეო სააგენტო**

# ბორჯომის მუნიციპალიტეტის საერთაშორისო ტურისტულ ჰაბად ჩამოყალიბების პერსპექტივები

## ანუ როგორ ვაქციოთ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებები მსოფლიოში სანიმუშო ტურისტულ და საკურორტო ჰაბად

**საქართველოს მთავრობამ ტურისტულად მიმზიდველი რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მათ შორის ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი თანხები გამოყო.**

ბორჯომის მუნიციპალიტეტი საკადასტრო საზღვრებში 1190 კვადრატული კილომეტრია, წარმოდგენილია ერთი ქალაქი (ბორჯომი), სამი დაბა (ბაკურიანი, წაღვერი, ახალდაბა) და 32 დიდი და პატარა სოფელი. ზღვის დონიდან 800-1200 მეტრის სიმაღლეზე განლაგებული. ბორჯომის ხეობის დასაწყისში ანუ ბორჯომის კარიბჭიდან ორ კილომეტრში ახალდაბაში მდინარე მტკვარზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის ნიშნული ზღვის დონიდან 710 მეტრია, ბორჯომში „სილამაზის ხიდი" 750 მეტრია, დაბა ბაკურიანის დასახლება ზღვის დონიდან 1225-1300 სიმაღლეზეა გაშენებული.

ყველა დასახლება გამოირჩევა ბუნებრივი ხიბლით, ვიზუალურად დასახლებების ირგვლივ სივრცეები გამორჩეულია სხვადასხვა სიმაღლის მთების მოხაზულობათა განსხვავებული ფორმებით, სილუეტებითა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსულით.

გაზეთ ბორჯომის" მკითხველებმა კარგად იციან საკუთარი მუნიციპალიტეტის დასახლებების ისტორია, ამიტომ სტატიაში საუბარს მათ მომავალ ტურისტულ პერსპექტივებზე გავამახვილებ.

საგაზეთო სტატიასთან ერთად სასურველია გაეცნოთ არქიტექტორ მარიამ გელაშვილის 152 გვერდიან მონოგრაფიას **„ასე შენდებოდა ბორჯომი",** რომელშიც კარგადაა აღწერილი ქალაქის მშენებლობა-არქიტექტურის ისტორია.

მონოგრაფიაში პროფესიონალურად, ამავე დროს ძალიან დამაჯერებლად და საინტერესოდაა აღწერილი ბორჯომის და მუნიციპალიტეტის ცალკეული დასახლებების წარსული უძველესი პერიოდიდან დღევანდლამდე. წიგნი დამშვენებულია ილუსტრაციებით, რომლებიც სიამაყით განგაწყობთ, რომ შენც ბორჯომის სიდიადის ნაწილი ხარ და ვალდებულადაც გრძნობ თავს, ბოძებული სიკეთიდან შენი მცირედი წვლილი შეიტანო მშობლიური კუთხის აღორძინებაში.

ახლა XXI საუკუნეა, ტექნიკური პროგრესი ფანტასტიკურ შესაძლებლობებს თავაზობს დასვენებისა და მოგზაურობის მოყვარულებს.

ამ მიმართულებით ბორჯომში თითქმის ყველაფერი მოგვარებულია. შესანიშნავი მინწყლები და ბაღ-პარკები, სკვერები, ინფრასტრუქტურა, ხიდები და ბუნების მრავალფეროვანი ატრაქციონები, კაფე-რესტორნები, ეროვნული კერძები, დასვენების და გართობის შესანიშნავ განწყობას ქმნის.

სამწუხაროდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებებს ასეთი კეთილმოწყობილი და სასიამოვნოდ დროის გასატარებელი ადგილები არ აქვს.

ბორჯომი XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან ჩამოყალიბდა კურორტად, რაც უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხეობისათვის.

XIX საუკუნეში ბორჯომში ხუთი პარკი იყო



გაშენებული, ვორონცოვის, პლატოს, რემერტის, მიხეილ რომანოვის სასახლის და ნიკოლოზ რომანოვის ლიკნის ბაღ-პარკები.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ბორჯომი რუსეთის იმპერიაში ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო და წარმატებულ საკურორტო დასახლებად. იმდროინდელი არქივებიდან ირკვევა, რომ ბორჯომი ათასობით ავადმყოფი-დამსვენებელი სტუმრობდა და მაღალი იყო მკურნალობის მაჩვენებელი. 50 წლის წინათ ბორჯომის საკურორტო დაწესებულებებში ყოველწლიურად 100-120 ათასი ადამიანი მკურნალობდა და ისვენებდა. მოქმედებდა ტურისტული ბაზები ბორჯომში და ბაკურიანში, ბავშვთა დასასვენებელი და სამკურნალო სანატორიუმები. განსაკუთრებით დაბა-სოფლებში მოსახლეობას მოწყობილი ჰქონდა საოჯახო სასტუმროები. 30 წლის წინათ ქაოსურად დაწყებულმა თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ სამწუხაროდ, ბევრი რამ შეიწირა. დღეს აღარც სანატორიუმებია და არც პანსიონატები. საერთოდ კურორტოლოგია, როგორც სამკურნალო დარგი დავიწყებას მიეცა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია ბორჯომში მძლავრი ტურისტული სააგენტოს ბაზის შექმნა და მისი ორგანიზებული განვითარება.

ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ადგილობრივ მრავალრიცხოვან დამსვენებლებისა და ტურისტების დიდ რაოდენობას ყოველდღიურად ემატებიან სხვა დასახლებებიდან გასართობად ჩამოსულებიც, ასევე ხშირია საექსკურსიო ავტობუსებით მოგზაურთა დიდი ნაკადებიც, ავტომანქანებისა და ავტობუსების დიდი რაოდენობისაგან იქმნება საცობები.

სამწუხაროდ, დღემდე ამ პრობლემის გადასაწყვეტად ქალაქში არაა პარკინგი ტრანსპორტისათვის.

ბაკურიანი იმდენად გადაივსო ტრანსპორტით, რომ დამსვენებელთა ინდივიდუალური ტრანსპორტით დასახლებაში შესვლა და გადაადგილება შეზღუდულია. პარკირებისათვის დაბის გარე ტერიტორიებზე ავტოსადგომებია მოწყობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ბორჯომისა და ბაკურიანის ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურების გაფართოებისათვის თავისუფალი ტერიტორიების მოძიება გაძნელებულია, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ბორჯომის ხეობაში მდებარე დასახლებებიც გამოირჩევიან ბორჯომისნაირი ბუნებრივი სიდიადით, ყველა მათგანი მთებითაა შემოზღუდული, ითვლებიამ საკურორტო დასახლებებად და საზაფხულო პერიოდში დამსვენებლებში პოპულარობითაც სარგებლობენ. (ახალდაბა, კორტანეთი, ზანავი, რველი, ყვიბისი, წაღვერი, მზეთამზე, ცემი, ტბა და ა.შ.).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა. გზები, სპორტული მოედნები, ბავშვთა გასართობი კუთხეები, სკვერები და ა.შ. რაც ხელს შეუწყობს ამ სოფლების ტურისტულ განვითარებას. მაგრამ ეს საკმარისი არაა, საჭიროა თითოეული სააგარაკო სოფელს მივუდგეთ მეცნიერული კვლევების საფუძველზე.

ბორჯომის ხეობის სიგრძე ტაშისკარიდან ბორჯომის ცენტრამდე (სილამაზის ხიდამდე) 16 კილომეტრია. ამიტომაც მიგვაჩნია, თანამედროვე სატრანსპორტო ურთიერთობების პირობებში მთელი ხეობა ქალაქ ბორჯომის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ და მათ ფარგლებში უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური ინფრასტრუქტურული პროექტები. აქ სიფრთხილეცაა საჭირო, ობიექტების დაგემარება უნდა მოხდეს არა გზატკეცილის გასწვრივ, რაც დასახლებების გაერთიანებასაც გამოიწვევს, არამედ სიგანეში.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში შემდეგი დანიშნულების კურორტული ფუნქციის მატარებელი დასასვენებელი ობიექტები უნდა ფუნქციონირებდნენ:

1. ბავშვთა დასვენებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი;
2. ტურისტული დასვენება-მოგზაურობისა და ქვეყნის ისტორიული ძეგლების გაცნობა-შესწავლა;
3. სპორტულ-საწვრთნელი შეკრებების ჩასატარებელი ობიექტები;
4. სამედიცინო-სამკურნალო რეაბილიტაციისა და გამაჯანსარებელი კურორტები;

ბორჯომის ხეობის ტურისტულ ჰაბად გარდაქმნაზე ნებისმიერ დასახლებას დიდსაც და პატარასაც ესაჭიროება თავშეყრის ადგილი. ყველა ქვეყანაში ასეთ ადგილად აღიარებულია კულტურისა და დასვენების პარკები თავისი ინფრასტრუქტურით და გასართობი ობიექტებით. საგაზეთო სტატიაში მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში ინფრასტრუქტურის განვითარების პრობლემებზე მასალები დიდი მოცულობისაა. ამჟამად აღნიშნულ საკითხზე პუბლიკაციას ახალდაბის ინფრასტრუქტურული პრობლემების მიმოხილვით შემოგთავაზებთ მომდევნო ნომერში.

მივმართავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს. თუ გსურთ თქვენი დასახლებების თაობაზე ყურადღების გამახვილება სამომავლო პერსპექტივების წარმოჩენა, მოგვწერეთ, გაგვაცანით, ვეცდებით თქვენი ნააზრევი გავხადოთ საჯარო განხილვის თემად.

# ბორჯომელი მეგზევეების კეთილი საქმეები

**კარგ, კეთილმოწყობილ გზას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქალაქისა თუ სოფლის მშრომელებისათვის, ამიტომაცაა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, როგორც საერთაშორისო, ისე რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სრულყოფას. უკანასკნელ წლებში კაპიტალურად შეკეთდა არაერთი სოფლის და დაბის შიდა გზები და ეს სამუშაოები ახლაც ორგანიზებულად მიმდინარეობს.**

**როგორც** წესი, მუნიციპალიტეტის ფარგლებში როგორც შიდა გზების მშენებლობა-განახლების საქმეს ემსახურება სამშენებლო ფირმა „მშენებელი-2012" (ფირმის დამფუძნებელი **ვახტანგ კაპანაძე,** დირექტორი **ავთანდილ სვანიძე**). ფირმა დაკომპლექტებულია მაღალ კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით და საგზაო-სამშენებლო უახლოესი ტექნიკის მართვის სპეციალისტებით.



ახლახანს ფირმას ორ ობიექტზე პარარელურად მოუხდა მუშაობა და ორივეგან ღირსეულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. ერთ თვეზე მეტი დრო მოანდომეს ბაკურიანი-ტაბაწყურის თითქმის 26 კილომეტრიან გზის შეკეთება-რეაბილიტაციას.

ბაკურიანიდან ცხრაწყაროს უღელტეხილამდე 14 კილომეტრიანი გზის მონაკვეთი საგზაო დეპარტამენტის დაკვეთით შესრულდა, სადაც 10 ერთეული მძლავრი ტექნიკა მუშაობდა. სარემონტო სამუშაოები მთელ მონაკვეთზე ფაქტიურად თავიდან მოეწყო ნიაღვარსავალი არხები, მოიხრეშა და საფუძვლიანად მოიტკეპნა სამანქანო გზა.

აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთის სარემონტო სამუშაოებში მეგზევეებს ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა ბაკურიანის განვითარების სააგენტომ, რომელმაც საკუთარი მექანიზმები და მუშა-ხელი მოახმარა.



დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა ცხრაწყაროს უღელტეხილიდან სოფელ ტაბაწყურამდე არსებულ 12 კილომეტრიანი გზის კეთილმოწყობისათვის, რომელიც ხანგრძლივი ზამთრის და დიდთოვლობის გამო სერიოზულად იყო დაზიანებული. სამანქანო გზის მთელ მონაკვეთზე შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაოები (მოხრეშვა, ორმოული შეკეთება, ნიაღვარსავალი არხების მოწყობა და სხვა). ხოლო თვით სოფელ ტაბაწყურის შესასვლელში მოეწო დამატებითი ანუ სათადარიგო გზა. ტაბაწყურის მოსახლეობა დიდად კმაყოფილი დარჩა შესრულებული სამუშაოებით, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი შეიტანეს სამუშაოთა მწარმოებელმა **ჯამბულ გელაშვილმა,** მექანიზატორებმა **ვასილ გეგეშიძემ, ზაურ გელაშვილმა, იოსებ ხაჩიძემ, ფრიდონ ჩადუნელმა, შალვა მარქაროვმა, ლევან და კახა გელაშვილებმა.**

ბაკურიანი ტაბაწყურის სამანქანო გზის სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვაში უალრესად დიდი წვლილი მიუძღვის ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დორექტორს ქალბატონ **ეკა ორჯონიკიძეს,** რომელიც მეგზევეებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა გზის რეაბილიტაციის საქმეში.

ფირმა „მშენებელი-2012" ხელმძღვანელობამ ბაკურიანი-ტაბაწყურის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად სერიოზული ყურადღება დაუთმო ტბა-ლიბანის 2200 მეტრიანი სამანქანო გზის მოწესრიგებას, სადაც გზა გაფართოვდა, მთლიანად მოიხრეშა და გზის გასწვრივ მოეწყო ნიაღვარსავალი არხები. ამ გზის ხარისხიანად აღდგენის სამუშაოებში აქტიურად იშრომეს: სამუშაოთა მწარმოებელმა **დათო თედიაშვილმა,** გრეიდერისტმა **კონსტანტივე მეტრეველმა,** ტრაქტორისტმა **იოსებ გაგლოშვილმა,** მძღოლებმა **გიორგი ლალუაშვილმა, გიორგი სუხიაშვილმა, ნიკა და მიხეილ ბარბაქაძეებმა, გელა და ლაშა ჩადუნლებმა და სხვებმა.**



აღსანიშნავია ისიც, რომ ბორჯომელი მეგზევეები დიდი პასუხისმგებლობით უდგებიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული ასფალტირებული გზების აღდგენას, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით ასრულებენ.

მიმდინარე წელს საკურორტო სეზონის წინ მეგზევეებმა ბორჯომის ქუჩებში და სოფლებში ასობით კვადრატული მეტრის დაზიანებული გზები შეაკეთეს, ეს სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს.

ბორჯომელი მეგზევეები წლის ბოლომდე დამატებით სამუშაოების შესრულებას აპირებენ და აქედანვე თადარიგს იჭერენ მოახლოებული ზამთრის სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის.

**გვერდის წერილები მოამზადა ვალერიან ლომიძემ**

## ნეტავ, სად არის ცისკარა..?

# ზაფხულობით წყლის პრობლემა მწვავდება

**ზაფხულობით** წყლის პრობლემა ბორჯომის მუნიციპალიტეტის რიგ დაბებსა და დასახლებებში კიდევ უფრო მწვავდება, ხშირია და თითქმის ყოველდღიურ ხასიათს ატარებს წყლის შეწყვეტა საათობით და გრაფიკულად მისი მოწოდება უკვე წლებია ვაშლოვანის დასახლებაში აღარავის უკვირს, უბნის ნაწილს წყალი საერთოდ არ მიეწოდება, რადგან შემაღლებულ ადგილზეა და წყლის დებეტი ძალიან ხშირად არასაკმარისია, მოგეხსენებათ, აღნიშნულ დასახლებაში წყლის მრიცხველებია დამონტაჟებული და მოსახლეობა შესაბამისად, ყოველთვიურად იხდის მოხმარებული წყლის გადასახადს. არც გამრიცხველიანებამ და ახალმა ცენტრალურმა წყალგაყვანილობამ აღმოფხვრა პრობლემა და გახშირებული დებეტის შეყვეტას, გამუდმებით წყლის მატებასა და კლებას არასახარბიელო შედეგები მოაქვს მოსახლეობისათვის, მარტივად ზიანდება ონკანები, რაც მათ ფინანსებზე აისახება და ხშირად ხელოსნის ძებნას უკავშირდება. ხშირია სატელეფონო ზარები და მოსახლეების ვიზიტები ბორჯომში გართიანებული წყალმომარაგების კომპანიაში, მაგრამ აღნიშნულს შედეგი მაინც არ აქვს, რამდენიმე დღის წინ მეზობელთან ერთად ოფისში პირადად მივედით და პრობლემის შესახებ ამჯერად კონკრეტულად შევატყობინეთ. სამწუხაროდ, ხელმძღვანელი ადგილზე არ იმყოფებოდა, ჩვენი ტელეფონის ნომრების ჩაწერის მიუხედავად, არავის დაურეკავს და მიზეზი არ უკითხავს, როდემდე უნდა წყდებოდეს წყალი საათობით და რა არის რეალურად ამის მიზეზი?! ბოლო დღეებია, პრობლემას, პრობლემა დაემატა, წყალი, ისეთი სუსტი დებეტით მოედინება ონკანებში, რომ შეუძლებელია სარეცხის მანქანის ჩართავა, იმდენად გაურკვევლად მოედინება, რომ ვერც საზღვრავ, როდის ისარგებლო, რადგან უცბად შეიძლება შეწყდეს და არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდე.

ზამთარშიც ბევრჯერ უთქვამთ ვაშლოვანის დასახლებაში, რომ წყლის შეწყვეტის გამო, გაყინულა სისტემა, როდესაც მოშვებული დაუტოვებიათ იმ მიზნით, რომ წყალი არ გაყინულიყო, თუმცა ჰოი, საოცრებავ, შუაღამისას, რომ ეგონათ, წყალი არ გაიყინებოდა და მოუშვეს ონკანში, სწორედ მაშინ შეწყვეტილა. ყველას არ აქვს ის პირობა და ისე მოწყობილი, რომ წყალი ზამთრობით არ იყინებოდეს, თუმცა ვინ ითვალისწინებს. ეტყვიან, გააკეთეთო, პირადად აღნიშნული პრობლემა არ მაწუხებს, მაგრამ ხომ შეიძლება ვისთანაც ასე მწვავედ დგას ხოლმე საკითხი, უბრალოდ არ გაატარონ და ყურადღება მიაქციონ, ერთი ადამიანის წუხილიც მოაგვარონ და ყოველდღიური წყლის მოწყვეტით აღარ გაართულონ.



ეს ერთი მხარეა, ახლა მეორე მხარეს გადავინაცვლოთ, შედარებისთვის, და მკითხველთა ანალიზისთვის, ახალდაბა, დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ ამ კომპანიას არ ეხება აღნიშნული დაბის წყალმომარაგების საკითხი, ეს სხვა კომპანიის მოვალეობებში შედის.

პირველ რიგში, პასუხს მოისმენთ, რომ ახალდაბელები წყალს არა მიზნობრივად ხარჯავენ და ხშირად წყალი პირდაპირ ჩაედინება მდინარეში. ამიტომ მოსახლეობას არ ჰყოფნის წყლის დებეტი. გაურკვევლობაში ვვარდები, რადგან გამრიცხველიანებულ ვაშლოვანაში მაინც არ გვაქვს წყალი, ისევე, როგორც ახალდაბაში, სადაც წყლის სათავე-ნაგებობის მშენებლობა ათასობით ლარი დაჯდა, დღეს ისევ ტალახიანი წყალი მოედინება ონკანებში და ეს უკვე დღეს არა სათავე-ნაგებობას, არამედ ცენტრალური გაყვანილობების გამოცვლას უკავშირდება, რომელიც ზაფხულობით დებეტის მომატების გამო ხშირად ზიანდება და შემდეგ მის შეკეთებას დღეები სჭირდება და მოსახლეობას, დამსვენებლებს ონკანებში წყალი 3-4 დღე არ მიეწოდება. სასმელ წყალს ეზიდებიან წყაროებიდან, ჭებიდან, ან ყიდულობენ.

**როდის მოგვარდება პრობლემა? - პასუხი დუმილია.**

იგივე ვითარებაა წალვერში, ყვიბისში, ლიკანში, სადაც მოსახლეობასთან ერთად ზაფხულში დამსვენებლებიც წუხან. შემდეგ უკვე კითხულობენ, სანამ კურორტს ეწვევიან, რომ მოვლენ ადგილზე როგორი პირობები დახვდებათ, თუ ექნებათ 24-საათიანი წყალმომარაგება და წყალი დასალევად ვარგისია თუ არა?!

იმდენად ღია და საჯარო გახადა აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემის სწორი ალბათობა და არჩევანის, შესაძლებლობა, ჩვენი საუკუნის ტექნოლოგიებმა, რომ წამებში შეგვიძლია მივიღოთ თავად დამსვენებლებისგან, კარგზეც რეკომენდაცია და ცუდზეც პასუხი, რომ აქ კომფორტულად ვერ დაისვენებ, რადგან წყლის პრობლემა გამუდმებით თავს შეგახსენებთ, გირჩევენ სასტუმროს, რომელშიც პრობლემა არ შეგაწუხებთ, რადგან სავარაუდოდ მეპატრონეს წყლის ავზი ექნება, რომელიც 24-საათიან წყალმომარაგებას უზრუნველყოფს. ამ დროს ის მოქალაქე, რომელიც ონკანის წყალზეა დამოკიდებული და მხოლოდ ასე მოუგვარებელ პრობლემაზე მიბმულს, სხვა რესურსის გარეშე აქირავებს, დაზარალდება. დღეს ნახე, რომ წყალი არ მოვიდა. აღარ გექნება სურვილი ისევ დაბრუნდე მომავალ წელს და „დაისვენო“ უწყლოდ, დისკომფორტულად.

დასახელებული პრობლემით, დამსვენებლებს დავკარგავთ, თუმცა გათვლები სხვა ძვირადღირებულ სასტუმროებზე შეიძლება მეტია, და ვილაც საოჯახო სასტუმროთი თუ უკმაყოფილო იქნება, დიდად ალბათ ვის ადარდებს, გარდა თავად მეპატრონეებს.

**იზა იანვარაშვილი**

### ისევ პრობლემები

# ქალაქის იერსახე საპირფარეშოდან იწყება!

**„61 წელია ბორჯომში ბერძნების უბანში ვცხოვრობ და დღეს აღმოვაჩინე ცენტრალურ ავტოსადგურზე ისტორიული „რარიტეტი“, რომელიც 1979 წლიდან ამშვენებს ბორჯომს, როგორც კურორტს და მისი „№1 სავიზიტო ბარათია“. თითოეულმა სტუმარმა აუცილებლად უნდა ნახოს ეს უნიკალური ნაგებობა, რომელიც 1918-იან წლებს მოგაგონებს და მას შემდეგ აქ არაფერი შეცვლილა. თუმცა ადგილობრივებმა კარგად იციან რა „უნიკალურ ნაგებობაში“ უხდებათ შესვლა ბიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების გამო. რაში იხდიან საფასურს თორემ კი. რა დააშავა თითოეულმა ბორჯომელმა ავტოსადგურზე გამვლელმა? რატომ უნდა ისუნთქონ ადამიანებმა ის სიმყრალე, რომელიც ავტოსადგურის კერძო ტუალეტიდან მოდის? კომენტარი თქვენთვის მომინდვია“. აღნიშნული წერილი ბორჯომელ მოქალაქეს ეკუთვნის, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მოიტანა რედაქციაში.**

**მიუხედავად** იმისა, რომ არსებული პრობლემა ბორჯომის მოსახლეობისთვის კარგადაა ცნობილი, ზემოთ აღნიშნული წერილის შემდეგ გაზეთი „ბორჯომი“ შეეცადა კიდევ უფრო მეტი დეტალები გაერკვია ამ „უნიკალური დაწესებულების“ შესახებ. დილის საათები იყო, როდესაც აღნიშნულ შენობასთან მივედი, თუმცა შენობამდე სანამ მივალთ, რამდენიმე მეტრის მანძილზე იგრძნობა სწორედ ის არასასიამოვნო სუნი, რის შესახებაც წერილის ავტორი საუბრობს. შენობას შუაზე ხის გრძელი სკამი ყოფს, სადაც იმ მომენტში რა დროსაც მე გახლდით მისული ხალხით იყო სავსე, რომლებიც ტრანსპორტს ელოდებოდნენ. ჩემდა გასაკვირად ისე არხეინად ისხდნენ, გამიკვირდა, **ნეტავ, მართლა მარტო მე ხომ არ შემაწუხა იქ არსებულმა სუნმა თქო? მაგრამ ისეთი გაუსაძლისი სიცხეებია, რომ ალბათ სხვა გზა არ აქვთ სხედან და ისუნთქავენ „არა ამქვეყნიურ სურნელს“.**



რამდენიმე მეტრში კი სოფლიდან ჩამოსული ქალბატონები ისხდნენ და პირდაპირ ასფალტზე დალაგებულ სოფლის პროდუქტებს ყიდდნენ, რომელსაც ბუზი ახვევია. იქვე პატარა ხის ნაგებობაც დგას კუთხეში, რომელსაც 50 თეთრი აწერია, უფრო ახლოს რომ მივედი, გავარკვიე, ბარგის შესანახად იყენებენ თურმე მგზავრები. შენობიდან ქალბატონი გამოვიდა, რომელსაც ვკითხე, ვის საკუთრებაშია არსებული საპირფარეშო და რატომ დგას ასეთი გაუსაძლისი სუნი ცენტრში? ჰოდა, უცებ ისეთ აგრესიაზე გადმოვიდა, რომ ვერ აღვწერ, კარგად ხედავ, 0 თეთრი ღირს, გნებავს, შედი, ისარგებლე, ან არადა, პირდაპირ მიმითითა, გაიარე და 1 ლარი ღირს ცენტრში და იქ მიბრძანდიო, მეტი არაფრის თქმას არ ვაპირებო, იყო მისი მკვახე პასუხი. მეც მეტი აღარაფერი მითქვამს. წამოსვლა დავაპირე, თუმცა ქალბატონი წამომეწია და შეწუხებული სახით მეუბნება, რომ რამდენიმე დღეა რაც ბორჯომში ისვენებს აღნიშნულ ტერიტორიის სიახლოვეს ე.წ. ბერძნების უბანში და რომ არა გულისხმიერი მასპინძლები, ერთი წუთით არ გაჩერდებოდა და იმდენად საშინელი სუნი დგას ტერიტორიის სიახლოვეს. გაეხარდა, რომ ვუთხარი ადგილობრივი გაზეთიდან ვარ ჟურნალისტი. იმედია, თქვენი მოსვლის შემდეგ მაინც შეიცვლება ვითარებაო. ისე კი ღირსები არიან ეს ამბავი ცენტრალურ ტელევიზიამდე მივიდეს, რომ ტურისტიულ ქალაქში თანაც ცენტრში ასეთი ანტისანიტარიააო. ქალბატონს დავემშვიდობე და პირდაპირ სადგურისკენ ავიღე გეზი, რათა ავტოსადგურის დირექტორს, ბატონ **ჯუმბერ ხიჯაკაძეს** გავსაუბრებოდი. ბატონი ჯუმბერისგან გავარკვიე, რომ იქ მომუშავე ქალბატონი ავტოსადგურის მთლიან ტერიტორიასაც უვლის და მათ შორის საპირფარეშოსაც. რომ ავუხსენი, რომ ადგილობრივი მოსახლეობა და ქალაქის სტუმრები აღშფოთებულები არიან შექმნილი პრობლემით, დამპირდა, რომ ეცდებიან მდგომარეობა გამოასწორონ. მეც სიმართლე გითხრათ, იმის იმედით წამოვედი, რომ შესაბამის რეაგირებას ნამდვილად მოახდენენ. უნდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული საპირფარეშოს გარდა, ქალაქში სულ რამდენიმე საპირფარეშო ფუნქციონირებს, ერთიც ქალაქის ცენტრში დგას მტკვრის სანაპიროს სიახლოვეს, სადაც შესვლა 1 ლარი ღირს და იქ მომუშავე ქალბატონი მაქსიმალურად ცდილობს სისუფთავე შეინარჩუნოს. ასევე 4 საპირფარეშო ფუნქციონირებს როგორც კოსტავას ბაღში, ასევე ცენტრალური პარკის ტერიტორიის ჩათვლით და არსებული ობიექტები იჯარით აქვს გადაცემული კონკრეტულ პირს.

აღნიშნულ საპირფარეშოებში შესვლაც 1 ლარია და უბრალოდ შედარებაც არ შიძლება იქ არსებული მდგომარეობა ავტოსადგურთან მდებარე საპირფარეშოსთან.

შეიძლება ზოგმა თქვას, რომ მეტი საქმე არ გაქვთ, რაღა საპირფარეშოებზე მოგინდათ წერაო, მაგრამ თუკი ცივილურ სამყაროში გვინდა ცხოვრება და ევროპის ნაწილი გვინდა გვერქვას, იქაური კარგიც უნდა გადმოვიღოთ და სწორედაც რომ მოწესრიგებული საპირფარეშოების სისტემა კულტურის და ყოფაცხოვრების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, თანამედროვე ევროპის ქვეყნებში. დიახ ბატონებო, თუკი ჩვენ არ ვთქვით, არ დავწერეთ ჩვენ უარყოფითზე, სწორედ ისე როგორც არის, მერე სხვა მოვა და უფრო მწარედ და მძაფრად დაწერს და იტყვის.

**ჟურნალისტიკა ხომ „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკან“ პრინციპით ხელმძღვანელობს და ვისთვის მოსაწონს ამბობს და ვისთვის მიუღებელს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რაც რეალურადაა, რაც სიმართლეა და რაზეც არ ღირს თვალის დახუჭვა.**

იქნებ და ჩვენმა ნათქვამმა და დაწერილმა კეთილი ნაყოფი გამოიღოს და იმაზე მეტად სასიკეთოდ იმოქმედოს ვიდრე წარმოვიდგენთ. ახლაც დიდ იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი დაწერილი და ნათქვამი თითოეული სიტყვა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“ და მას რეალური შედეგი მოჰყვება.

**ნატო მელიქიძე**

# მეტი უსაფრთხოება ბავშვებს!



**მარი აბრამიშვილი** ბორჯომის მუნიციპალიტეტს მალე ხშირად ეწვევა, ოჯახმა სადგერში ჯერ მიწის ნაკვეთი შეიძინა, შემდეგ პატარა უმშვენიერესი კოტეჯი ააშენა. წელს ზაფხულის შვებულება აქ გაატარა, რამდენიმე დღე შევხვდით და ბევრი ვისაუბრეთ. პროფესიით ჟურნალისტი და ოპერატორია, შესაბამისად მოგეხსენებათ ჟურნალისტისა და ამასთან ოპერატორის თვალით დანახული ქალაქი, სულ სხვა ნიუანსებს აღმოაჩენს. ასეც მოხდა, მაგრამ საუბრისას მითხრა, რომ ქალაქში მეტი უსაფრთხოების ზომებს ისურვებდა. ბორჯომში არსებული ხიდები, რომელებიც მრავლადაა, არ არის უსაფრთხოების ზომები დაცული, ბორჯომულას ხიდების დამცავ ზღუდეებს ძალიან დიდი დაშორებები აქვს და 8-9 წლის ბავშვი შეიძლება უეცრად გადავარდეს.

- 8 წლის ძმისშვილს ვასეირნებდი და შევკრთი, როდესაც ცენტრალურ (ისტორიული) პარკის ხიდს მიუახლოვდით, გუკა მოაჯირისკენ გაიქცა, საიდანაც ადვილი შესაძლებელი იყო გადავარდნილიყო.

ამ ფაქტის შენიშვნის შემდეგ, როდესაც ხიდებს ვუახლოვდებოდით, ყურადღებას ვაორმაგებდი. ამ მხრივ მეტი ყურადღება მართებთ შესაბამის სამსახურებს, რადგან პარკი სავსეა დამსვენებლებით, რომელთა უმრავლესობა ბავშვებია.

მარიმ ისიც აღნიშნა, რომ საერთოდ ქალაქს ეტყობა მოვლილი რომ არის და მასზე ზრუნავენო;

აღნიშნულ ემოციებს სიხარულით მიზიარებდა. ბორჯომი გაიცინო და შეუყვარდა კიდეც.

და მე, სხვაგავარდ ვერც წარმოვიდგენდი.

**იზა იანვარაშვილი**

# ვულოცავთ!



ჩვენს სათნო, გულმართალ, ზნემაღალ, კარგი შვილების აღმზრდელ დედას და შვილიშვილებზე მლოცველ უსაყვარლეს ბებიას

**ჯულიეტა ფერაძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ჯანმრთელობა, სიკეთე და უამრავი სიხარული მოგმადლოს უფალმა შენს დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად, ჩვენო უს-პეტაკესო ჯული, იხარე და იდღეგრძელე, მრავალჟამიერ!

**შენი ფერაძეები**

შენ გულმართალო, სულით ძლიერო
ულამაზესო ქალო,
სიკეთითა და ღვთიური მადლით,
ქვაზე ბალახიც ხარობს!
ქვეყნის მშვიდობას ავედრებ უფალს
და შვილიშვილთა სილაღით სუნთქავ,
მათი კისკისი სიცოცხლით გავსებს,
მადლობას სწირავ, ადიდებ გამჩენს.
საამაყონი გყავხან შვილები,
ხარ ფრთაგაშლილი შვილიშვილებით,
ცინცხალი დილა სიცოცხლით გავსებს,
კიდევ და კიდევ ადიდებ გამჩენს,
რომ ღირსეული დედა ხარ ჯული,
ნაღდად ასეა: ღმერთი და რჯული.



თეკლა - რწმენაა შენი, აზრი დიადი,
ეკატერინე - სუნთქვაა შენი და განთიადი,
პასტარა ნინო - ლოცვაა ღვთისა,
სულის ნათება და სხივი მზისა.
შენი გიორგით, გვანცა, ვახტანგით,
უფრო ამაღლდი, უფრო გალაღდი.
სულ იდღეგრძელე,
სულ იმზეგრძელე,
გვავსებ სიცოცხლის ლამაზ ფერებით,
შენ დედაბოძო დიდი ოჯახის,
გკოცნით, გეხვევით და გეფერებით.

დიდი სიყვარულით **ოლია თოფურიძე**

# განცხადება



ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, 18 აგვისტოს, 11 საათზე, სასპორტო სკოლაში მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონატი გაიმართება.

I ადგილზე გასულ მონაწილეს 300 ლარი, II ადგილზე გასულ მონაწილეს 200 ლარი, ხოლო III ადგილზე გასულ მონაწილეს 100 ლარი გადაეცემა.

განცხადებების მიღება დაწყებულია.

მაგიდის ჩოგბურთში მონაწილეობის მსურველებს რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიაში, ასევე ჩემპიონატის დღეს, 18 აგვისტოს, სასპორტო სკოლის დარბაზში (10-11 საათამდე)

ინფორმაციისათვის დარეკეთ ნომრებზე: 591959541

# ამიერიდან ოთხ საპატიო მოქალაქეს აირჩევენ

**წელს ბორჯომს 3-ის ნაცვლად 4 საპატიო მოქალაქე ეყოლება. მეოთხე საპატიო მოქალაქეს, საკრებულოს გადაწყვეტილებით, სამცხის მაჟორიტარი დეპუტატი და მისი ბიურო დაასახელებს. ტრადიციულად, წელიწადში ერთხელ, საპატიო მოქალაქეების გამოვლენა და დაჯილდოება ბორჯომ-ქალაქობის დღესასწაულზე ხდება.**

**სახალხო დღესასწაულის ჩატარება სექტემბრის პირველ ნახევარშია დაგეგმილი.**

# შეცდომებზე ვერაფერსაც ვერ სწავლობენ



**რამდენიმე** დღის წინ ქალაქში მუსიკალურ სკოლასთან არსებულ შადრევანთან მომიწია გავლა და ჰოი საოცრებავ. დაახლოებით 8-9 წლის ასაკის ორი ბიჭუნა შადრევანში გახლდათ ჩასული და ზაფხულის ცხელი დღეების გაგრილებას შადრევანში არსებული წყლის ჭავლით ცდილობდნენ. გაოცებულმა შევხედე და ვცდილობდი იქ მსხდომ ხალხში, რომლებიც სიმართლე გითხრათ გაგკვირვებულები შესცქეროდნენ ბიჭუნებს, მათი მშობელბი ამომეცნო. ვერავინ შევიცანი, თუმცა შიშით გავუარე და იქვე ლიბერთი ბანკთან მაქსიმუმ 3-4 წუთის საქმე მქონდა და უკან დაბრუნებულზე დავინახე, რომ ბიჭები შადრევნიდან ამოდიოდნენ. მე კი ჩემდაუნებურად შადრევნის თვალიერებას შევუდექი, ბავშვებს რომ ვერაფერი ვუთხარი. საკმაოდ მოწესრიგებულად მეჩვენა შადრევანში არსებული გადაბმული მილები და ონკანები, თუმცა ამაზე ხომ არ არის საქმე? ღმერთმა არ ქნას, რომ რამე ცუდი მოხდეს, არავინ არ ვართ დაზღვეული არაფრისგან. მერე ხომ დაიწყებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტისაკენ ხელის მიშვერას და ლანძღვა-გინებას, აქაოდა უხარისხოდ გააკეთესო?

სწორედ რამდენიმე დღის წინ შოვის ტრაგედიასთან დაკავშირებით ჩემ პირად გვერდზე დავწერე სტატუსად: „საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შეცდომებზე არაფერსაც არ სწავლობენ". ჰოდა, აი ამ ამბავსაც იგივენაირად მიესადაგება აღნიშნული სტატუსი. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოც და ხალხიც ტრაგედიებისაგან ვერაფერსაც ვერ სწავლობენ.

P.S **ძალიან გთხოვთ, მეტი ყურადღება დაუთმეთ შვილებს, მშობლებო!**

**ნატო მელიქიძე**

# მნიშვნელოვანი ცვლილებები ონკოპაციენტებისათვის




**ონკოლოგიური** პაციენტებისთვის, სრულფასოვან მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა.

ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს დაუფინანსდება. მათ შორის არიან ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია. ცვლილებამდე, მათ აღნიშნულ მომსახურებები არ უფინანსდებოდათ. სიახლე შეეხებათ დაზღვეულ ვეტერანებსაც.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.

# ყველაზე საშინელი სტიქიური უბედურება სლოვენიაში

**სლოვენიაში მომხდარი წყალდიდობა ყველაზე საშინელ სტიქიურ უბედურებად არის აღიარებული ქვეყნის ისტორიაში. წყალდიდობას სულ მცირე 6 ადამიანი ემსხვერპლა.**

ძლიერმა წვიმებმა ქვეყნის ტერიტორიის 2/3-ზე წყალდიდობები და მეწყერები გამოიწვია. ადიდებულმა მდინარეებმა ხიდები დაანგრია, დაზიანებულია გზები, ელექტროგადამცემი ხაზები და ავტომობილები. წინასწარი შეფასებით, მატერიალური ზარალი 500 მლნ.ევროს შეადგენს.

# მეწყერი და ქვათაცვენა ნორვეგიაში

**ნორვეგიაში შტორმს მეწყერი და ქვათაცვენა მოჰყვა. როგორც ადგილობრივი მედია წერს, სტიქიის გამო პრობლემებია საავტომობილო გზებზე. ასევე, შეფერხებებით მუშაობს რკინიგზა და გაუქმდა ავიარეისების ნაწილი.**

ნორვეგიის დედაქალაქსა და ოსლოს აეროპორტს შორის სარკინიგზო მიმოსვლა ამ დრომდე დარღვეულია.

# ამერიკაში შტორმს ელოდებიან

**შტორმის საშიშროების ფონზე აშშ-ში 4 000-ზე მეტი საჰაერო რეისი გაუქმდა ან გადაიდო. როგორც ამერიკული მედია იუწყება, ამინდის გაუარესების გამო, ათასზე მეტი რეისი გაუქმდა, ხოლო 3000 რეისი გადაიდო.**

# სკვერის მოწყობა დასრულდა

**ბორჯომში,** რუსთაველის ქუჩაზე, სანაპიროზე სკვერის მოწყობა დასრულდა. პროექტის მიხედვით, ტერიტორიაზე მოეწყო საყრდენი კედელი, შიდა ბილიკები, განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, ფიტნეს-ტრენაჟორები, ფანჩატური, დეკორატიული საბაღე სკამები, სანაგვე ურნები, დამონტაჟდა დეკორატიული ლამპიონები და განხორციელდა გამწვანების სამუშაოები. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა და მისი საერთო ღირებულება 846 155 ლარს შეადგენს.

განახლებული სკვერი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** დაათვალიერეს.



# გზის რეაბილიტაცია დაიწყო




**სოფელ ყვიბისში** მამათა მონასტრის ბერის საყდრებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაიწყო.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ადგილზე გაეცნო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და მონიტორინგის და ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელი **გიორგი კობრავა.**

- პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება, პირველ ეტაპზე გზის 600-მეტრიან მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი მოეწყობა. პროექტის მიზანია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის, - განაცხადა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა.**

პროექტი ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და სამუშაოებს შპს „არალი" ახორციელებს.

# მამა და ქეთევან შარიქაძეების მონატრება



**მამა და დედა, მამა და დედა;**
**თქვენ გიგონებთ და ძლიერ განვიცდი,**
**რომ აღარ მყავხართ ამქვეყნად მეტად,**
**აგვისტოს მიაქვს ჩემი ხალისი.**
**მარიამობას ბებომ დაგვტოვა**
**და აგვისტოს თვემ თქვენ გაგაჩინათ:**
**თხუთმეტში მამამ იხილა მიწა,**
**ცხრამეტში კი დედა მოავლინა.**
**სწორედ ეს თვეა, ამ ზაფხულის თვემ,**
**ორმაგად მწველმა, ცრემლი დამიშრო,**
**გიგონებთ მუდამ ერთად ორივეს**
**და მწუხარებამ გული ამივსო.**
**ძალიან გსურდათ, რომ დაგენახათ**
**უკვე ზრდასრული შვილიშვილები**
**და არიგებდით, რომ დაესახათ**
**აწმყოს მიზანი და სურვილები.**
**მაგრამ დრომ ნატვრას გამოსდო სარმა,**
**როგორც ზაფხულში - ფერისცვალება,**
**ასე ინება სწორედ უფალმა:**
**სიცოცხლეს მოჰყვა გარდაცვალება.**
**გავიდა უკვე მრავალი წელი,**
**მეც შემევერცხლა უკვე ჭაღარა,**
**„სანამ დედა მყავს, არ დავბერდები",**
**ქართველ კაცს უთქვამს, მითხარ, აბა რად?!**
**დედა და მამა, დედა და მამა, მეამაყებით,**
**თქვენს სულებს ვფიცავ,**
**მშვიდად იძინეთ, გულით გთხოვთ ამას,**
**საბნად გეფაროთ ბორჯომის მიწა...**

**ირმა შარიქაძე**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59

შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". თბილისი, თევდორე მღვდლის №57.

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე